სააბონენტო ხელშეკრულება #---------- ---------- 2022 წ.

მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორი (კომპანია)	**აბონენტი:**
შპს „დი +“ წარმომადგენელი ----------	სახელი გვარი ----------
ს/კ 400166262; იურ. მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. #1;	პირადი ნომერი----------
ელ-ფოსტა: info@digitaltv.ge;	მის: ----------
ვებ. გვერდი: www.digitaltv.ge;	ტელ: ----------
სს „თიბისი ბანკი”, ბანკის კოდი: TBCBGE22, GE90TB7843736020100007	ელ. ფოსტა: ----------
	„აბონენტის“ უნიკალური ნომერი ----------

□ **დროებითი სარგებლობა** □ **ნასყიდობა** (□ **DTV – 5K ,** □ **CI MODULE)**

□ **რეგიონული (Region)** □ **სტანდარტული (Standard)** □ **ანტენა**

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი ადასტურებს სააბონენტო მოწყობილობის მიღებას (მიმღები, პულტი, ტელევიზორისა და მიმღების დამაკავშირებელი კაბელები, კვების ბლოკი, დაშვების ბარათი);

- მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალს, ასევე ტარიფების და პირობების, მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, შეწყვეტის, აქციებისა და სხვა პირობების შესახებ ინფორმაცია აბონენტს დეტალურად შეუძლია მიიღოს კომპანიის ვებ გვერდზე, კომპანიის სერვის ცენტრში ან/და კომპანიის სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით შემდეგ ნომერზე - **(032) 2051212**
- წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში, აბონენტი სარგებლობს სტანდარტული პაკეტით;
- იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი წინამდებარე ხელშეკრულებით აირჩევს რეგიონალურ (Region) პაკეტს და ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში არ შეატყობინებს კომპანიას იმის შესახებ, რომ მას სურს განაგრძოს Standard პაკეტის მომსახურების მიღება, მომდევნო თვიდან აბონენტი ავტომატურად გადადის მის მიერ შერჩეულ Region პაკეტზე;

1. Region პაკეტით გათვალისწინებული ერთი თვის მომსახურების ღირებულება სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში შეადგენს - ერთი სააბონენტო მოწყობილობისთვის Region პაკეტის საფასური 6 (ექვსი) ლარი და ერთი სააბონენტო მოწყობილობის ქირის ერთი თვის საფასური 3 (სამი) ლარი.
2. Standard პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების ერთი თვის ღირებულება სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში შეადგენს - ერთი სააბონენტო მოწყობილობის Standard პაკეტის საფასური 14 (თოთხმეტი) ლარი, ერთი სააბონენტო მოწყობილობის ქირის საფასური კი - 3 (სამი) ლარი.
3. სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში ,,აბონენტი“ ხელშეკრულების დადებისთანავე, იხდის პირველი თვის მომსახურების ღირებულებას ერთი სააბონენტო მოწყობილობის 17 (ჩვიდმეტი) ლარის ოდენობით, საიდანაც - 14 (თოთხმეტი) ლარი არის- Standard პაკეტის ფასი ხოლო 3 (სამი) ლარი - სააბონენტო მოწყობილობის ქირის საფასური.
4. სააბონენტო მოწყობილობის ყიდვის შემთხვევაში აბონენტი ხელშეკრულების დადებისთანავე იხდის 119 (ას ცხრამეტი) ლარს, ერთი სააბონენტო მოწყობილობისათვის, საიდანაც 14 (თოთხმეტი) ლარი არის Standard პაკეტის საფასური. აბონენტი რომელიც შეიძენს სააბონენტო მოწყობილობას ისარგებლებს Standard პაკეტით.
5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ მის შეწყვეტამდე;
6. „აბონენტის“ მიერ მომსახურების ღირებულება გადაიხდება წინასწარ, მომსახურების მისთვის სასურველ თვეთა რაოდენობის ეკვივალენტური ფულადი თანხის „კომპანიაში“ კუთვნილ ბარათზე შეტანის, დეპონირების გზით, რა პერიოდითაც (თვეების შესაბამისად) განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მომსახურების მიწოდების ხანგძლივობა;
7. ბარათზე მომსახურების ღირებულების თანხის ამოწურვის შემთხვევაში აბონენტს შეეზღუდება მომსახურება. აბონენტს მომსახურება შეუწყდება იმ შემთხვევაში თუ იგი არ გადაიხდის მის მიერ არჩეული პაკეტის ღირებულებას . ამავდროულად ,,აბონენტი“ არ თავისუფლდება ქირის თანხის გადახდისგან (აღნიშნული არ ვრცელდება აბონენტის მიერ სააბონენტო მოწყობილობის ყიდვის შემთხვევაზე);
8. თუ მომსახურების შეზღუდვიდან 120 (ასოცი) დღის მანძილზე აბონენტი არ სარგებლოს მომსახურებით კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება რის შესახებაც ვალდებულია „აბონენტს“ ინდივიდუალური შეტყობინება გაუგზავნოს შეწყვეტის თარიღის დადგომამდე 10 (ათი) დღით ადრე;
9. მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები (www.digitaltv.ge), წინამდებარე ხელშეკრულება, მისი დანართები, მიღება-ჩაბარების აქტები და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სხვა დოკუმენტები წარმოადგენენ ერთიან ხელშეკრულებას. მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებსა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება მომსახურების სტანდარტულ პირობებს, რომელიც პერიოდულად განახლებადია ,,კომპანიის“ ვებ-გვერდზე (www.digitaltv.ge);

მხარეთა ხელმოწერები:

---------- ----------